

# ასპინძის

## სახელოვნო

ასპინძის მუნიციპალიტეტი \* აპრილი. 2018 \* (2)39

### აღდგომა

### - დღესასწაული დღესასწაულითა

ჭეშმარიტად აღდგომა არის გვირგვინი დღესასწაულითა. მართლმადიდებლური ეკლესია საუკუნეების განმავლობაში აღნიშნავს უდიდეს დღესასწაულებს, როგორც არის ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება, ფერისცვალება, უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში, ანუ ბზობა, ბაიაობა. ყოველივე ეს დღესასწაულები და სხვა მრავალი, არის გზა აღდგომისაკენ. ანუ ყოველივე ის მოვლენა, რომელიც აღწერილი არის საღვთო წერილში, დაგვირგვინდა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომით, „ესე არს დღე, რომელი ქმნა უფალმა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა“ (ესაია 62:1).

სოკრატე, რომელმაც ზოგიერთი თეოსოფოსი-ეზოთერიისტი ქრისტეს უდარებს, მომკვდინებელი შხამით სახსენებს რომ ცლიდა, თავისი მთავრების სიძულვილით იყო სახსენ. მას ის აზრი ანუგეშებდა, რომ ისინი ციკვილი-მისჯილები იყვნენ, ოღონდ არა ათენის არეოპაგის, არამედ თვით ბუნების მიერ, რომ სიკვდილი გარ-

ზეცის ნაწილი, ღმერთის ბაგეთა იდუმალი სუნთქვაა. ადამიანი, როგორც სულიერი და ფიზიკური არსება, ორ სამყაროს მიეკუთვნება. ის უნდა გამხდარიყო შემაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და კოსმოსს შორის, რათა მასში და მისი მეშვეობით მომხდარიყო მატერიის განსულიერება.

როგორც მეგობარი უცვლის სიკვდილმისჯილს ტანსაცმელს და მის ნაცვლად ადის ეზოფოტზე. უცოდველმა მიიღო კაცობრიობის ყველა ცოდვის შედეგი და სატანჯველი. ქრისტეს ღმრთაებრივმა ღირსებამ მისი მსხვერპლი უსაზღვროდ და უკიდევანოდ უნივერსალურად აქცია.

თავისუფალი პიროვნება. უფალმა დროებით დაუშვა ბოროტება, მაგრამ ის სიკეთის სამსახურში ჩააყენა. მხოლოდ საშინელ სამსჯავროზე მოხდებოდა ნათლისა და ბნელის, სიკეთისა და ბოროტების სრული გამოყოფა, დიფერენციაცია.



წმ. იოანე ოქროპირი გვამცნობს და გვასწავლის, რომ ამ დღეს უნდა იხარებდეს ყოველი ადამიანი: მდიდარი და ღარიბი, მონა და ბატონი, ვინც იმარხულა და ვინც ვერ იმარხულა, ვინც იყო ღვანჯირი და ვინც ვერ იღვანა, დიდი და პატარა, „რათა პირველთა და უკანასკნელთა ზოგად სასყიდელი მიიღონ, და რათა მდიდარი და გლახანი ერთიერთს იხარებდნენ, და მოღვაწენი და სულმოკლენი დღესა ამას პატივსცემდნენ. რომელმან იმარხა და რომელმან ვერ იმარხა, ყოველნივე ერთბაშად განსცხვებდნენ. რამეთუ დღეს ტაბლა სახსე არს, იშვებდით ყოველნი“ (წმ. იოანე ოქროპირი).

დაუფალია. ქრისტეს მოციქულები კი ნამების დროს ისე ლოცულობდნენ თავიანთი ჯალათებისთვის, როგორც დედა – თავისი შვილებისთვის. მათ იცოდნენ, რომ სიკვდილი არ არსებობს და მათ ქრისტესთან შეხვედრა ელოდნენ.

ქრისტე მაცხოვრის ჯვარცმისა და აღდგომა კაცობრიობისა და მთელი კოსმოსის ისტორიის უმთავრესი მოვლენაა. ქრისტეს აღდგომა არის ჩვენი უკვდავების დამტკიცება და მკვდრების მომავალი აღდგინების პირველსახე, ახალი სიცოცხლის დასაბამი და კაცობრიობის ორ ტირანზე – ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვება.

სიყვარულის მაგალითი. ქრისტემ დააარსა ეკლესია თავისი საიდუმლოებითა და ღვთისმსახურებით, რომელთა მეშვეობით ქრისტეს აღდგომა წარსულიდან აწმყოდ იქცევა. ადამიანს მიეცა საშუალება, ეკლესიის საიდუმლოებაში მონაწილეობით ქრისტეს აღდგომის სიხარული განიცადოს, საბოლოოდ კი სული გადაიჩინოს.

უკვდავება ამქვეყნიური არსებობის გაგრძელება რომ იყოს, მაშინ ყველანი ერთ ტაფაში მოვიხრაკებით – უბინოებიც და გარყვნილებიც, ქრისტიანებიც და დემონის თავყანისმცემლებიც. ნერონი, კალიგულა, და თემურ ლენგი განაგრძობენ თავიანთ საქმეებს, ადამიანები დაიჭანჯვებდნენ ავადმყოფობისაგან და ვნებებისაგან. ამგვარი უკვდავება კაცობრიობისათვის არანაკლები წყევლა იქნებოდა, ვიდრე თვითონ სიკვდილი.

დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ ამ დღესასწაულის სიდიადეზე. ადამიანის გონება მაინც ვერ ჩანვდება ამ ბრწყინვალე მოვლენის სიღრმეებს. აი რას წერს არქიმანდრიტი მამა რაფაელი აღდგომის დღესასწაულის შესახებ: „ქრისტე აღსდგა მკვდრებით, სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ეს ძველი საგალობელი ეკლესიის თვით მოციქულებმა უბოძეს. სახარებასთან ერთად მას საწუკვარ სინამდევსავით ინახავდა ყველა ქრისტიანი საძმომ. ქრისტიანთა დევნის უამს იგი ძლევის ჰიმნივით უღერდა რომის კატაკომბებსა თუ ოუდეას გამოქვაბულებში. აღდგომის დამეს ქრისტეს აღდგომის სიხარული სულიერი ნათლის ტალღებად იღვრება ყოველი მართლმადიდებლური ტაძრიდან და წყვდიადში ჩაფლულ დამეს სიხარულით სახსე ბედნიერ დღედ აქცევის.

ქრისტე აღსდგა! – ამ სიტყვებში, ვით მისტიკურ ცენტრში, იკვეთება ძველი აღქმის ყველა რადიუსი, მისი წინასწარმეტყველებანი, სახეები და ალთქმანი.

ქრისტე აღსდგა! – ამ სიტყვების სიღრმიდან, ვით ნათლის უფსკრულიდან, მთელ სამყაროს ეფინება და დამკვიდრდნენ. სიკვდილი არის ავადმყოფობა, სენი, რომელიც კიბოს სიმსივნესავით მოედება მთელ სამყაროს. კაცობრიობის ისტორია სისხლის მენამული საღებავითა და ცოდვის შავი მელნით დაწერილ ტრაგედიად იქცა. ღმრთისაგან სულიერად მონყვეტილი ადამიანი დასალუპად არის განწირული, ისევე, როგორც ღეროს მონყვეტილი ყვავილი იქცევა მტვრად და ფერფლად. კაცობრიობამ ღმერთი დაკარგა. ადამიანები ეძებენ ხსნას – ხან ფილოსოფიას მიმართავენ, ხან წარმართულ მისტიციებს, თავიანთ სცემენ ქვის ქანდაკებებს, მაგრამ ხსნა არსად იყო. კაცობრიობის სიკვდილის ტყვეობისგან გამოსხნა შეეძლო მხოლოდ იმგვარ მსხვერპლს, რომელიც თავისი აქსიოლოგიური მნიშვნელობით (ღირსების ხარისხით) მთელ სამყაროს გადაამეტებდა. ეს მსხვერპლი თავისი ბუნებით იმის იგივეობრივი უნდა ყოფილიყო, ვისთვისაც იწერებოდა. სწორედ ასეთი შესაწირავი მიიტანა ქრისტემ უფლის სამსხვერპლობზე: ის იყო ღმერთი და, მაშასადამე, იგი მოიცავდა მთელ სამყაროს, მეორე მხრივ, ის იყო სრულყოფილი ადამიანი – თავისი თავით შეცვალა ადამიანი, ისევე,

ქრისტემ დათრგუნა მშვინიერი სიკვდილი, ცოდვის მეუფება, ზოგაერთები იტყვიან: სამყარო ხომ გაიძვერობამ და სიცრუემ, უსამართლობამ და სისასტიკემ წააღწია, მამ როგორღა მოსპო ქრისტემ მშვინიერი სიკვდილი? რატომ ცეცხლით არ ამონავს ბოროტებას და ცოდვას, კაცობრიობის ამ ავთი-სებთან სიმსივნეს? – ამის მთქმელს ავიწყდება, რომ მაშინ თვითონ ჩვენ უნდა გავქრეთ და დავიფერფლოთ, რადგან ბევრჯერ გვილაღობა ქრისტესთვის, გადავცდენივართ იმ საზღვარს, საიდანაც წყვდიადის, ცოდვისა და ბოროტების სამყარო იწყება. ღმრთის მოთმინება ჩვენი საერთო გადაარჩენაა. უფალმა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი დაძლევის საშუალებები გვიბოძა. ამ ბრძოლაში ყალიბდება ადამიანი, როგორც ზნეობრივად

დასასრული 80-2 გვ.

### ასპინძის მატყანეში მოხსენიების 1130 წლისთავისათვის!

„და შიშოია ღმერთი მხირობა მათ აღარასანს კმრძთა და სპლინს ნასრას, მიუტ ძნეს, შიშოძრეს და მოკლეს ნასრა, ჳმსა სამხსისასა, სოჳჳლა ასპინძას, ძროგინკონსა რ ~ წ“.

სუბპატ დავითის აქ

### მამა აპირან აპირანაშვილი

#### ასპინძა

ენიერბოდნენ შენს მიწა-წყალს, ძველო ასპინძავ, შენი წარსული ჩვენი ერის დიდი განძია, სულის საუფჯედ შენს მიწაზე დაღვრილმა სისხლმა შემოგვინახა შოთას სიბრძნე, ძველი ვარძია.

დიდი თამარი აქ უძღოდა ივერთა ლაშქარს, ქალაქი კლდეში მან სასახლედ გადააქცია, თამარის სიბრძნით იმარჯვებდა დრომა ჯვარცმული, დედოფლის ეშხმა რუსთაველი ხელად აქცია.

მიჯნურ პოეტმა თავის სისხლში ნანები კალმით, შექმნა პოემა, უკვდავება სიყვარულისა, ბრძენმა მიჯნურმა მოკრძალებით მიართვა მეფეს ლექსი-სიმღერა, სიყვარული წრფელი გულისა.

შენს მალალ მთებში გაიზარდა, ალბათ, ის ვეფხვი, ტარიელმა რომ გახელეღბით მოსრა, - დაახრჩო, ამ ვეფხვის ტყავში გახვეული გმირი მიჯნური



წყლისპირას, ქვაბში პოულობდა სულიერ საზრდოს.

შენი წარსული ჭირ-ვარამზე გადადიოდა, აქ ინრთობოდა ხმალი - ქართულ რაინდობისა, აქ იზრდებოდა იდეალი მიჯნურობაზე, შენვე მოგვეცი მაგალითი მეგობრობისა.

დღესაც უდგახარ საქართველოს ფოლადის ფარად, შენი მახვილით იგმირება მტარვალის გული, უხვად გწვოდეს ზეციური ბედნიერება, უკვდავი იყოს ასპინძა და სიტყვა ქართული!...

## აღდგომა - დღისასწაული დღისასწაულია

პირველი გვირგვინი

არამედ სხეულთან შეერთებული სული, მონა-და. მკვდრებით აღმდგარი ადამიანის სხეული ქრისტე მაცხოვრის სხეულის მსგავსი იქნება. სხეული ადამიანის - კოსმოსის წარმომადგენლის ღირსება და მის ინდივიდუალობას გამოხატავს. ძველი ფილოსოფოსები ადამიანს მიკროსკოპს უწოდებდნენ“.

ზოგიერთს უკვირს: თუკი სამყაროს სახეც-ვლილება ადამიანის სახეცვლილებასა და აღდგომაზე დამოკიდებული, მაშ რაღად შექმნა უფალმა რამდენიმე მილიარდი სამყარო, რომლებსაც ვერასოდეს იხილავს ადამიანი. ჩვენ კი სამეფო ადგილი კი არ მიგვაჩნია სამყაროს ცენტრში, არამედ მის ერთ კუთხეში დაგვასახლა? ჯერ ერთი, დედამიწა სამყაროს სულიერი ცენტრია, რამეთუ ქრისტე გარდამოვიდა აქ და ხორცი შეისხა. მაგრამ ეს ასე რომ არ იყოს, გოლგოთის მსხვერპლის მნიშვნელობა მაინც არ დაკნინდებოდა, რადგან სწორედ დედამიწაზე ეცვა ჯვარს ქრისტე და დათრგუნა სიკვდილი. აქ გადაწყდა მთელი კოსმოსის ბედი.

ადამიანთა აღდგომა არის არა მინიერი ცხოვრების გამეორება, არა რენიმაცია, არამედ სხვაგვარ არსებობაში გადასვლა. სხეული შეიძენს ახალ თვისებებს - აღარ იქნება დროისა და სივრცის მონა. ადამიანი ერთიანი

სულიერი ჭვრეტით იხილავს ღმრთის ნათლის სახეცვლილ სამყაროს, ვითარცა ღმრთის მიერ შექმნილ საკვირველ სურათს. ძველი ფილოსოფოსები ტყუილად როდი უწოდებდნენ სამყაროს კოსმოსს. კოსმოსი ნიშნავს არა მარტო წესრიგს, არამედ შემკობასა და მორთვასაც. ადამიანი იხილავს კოსმოსს, როგორც თავის საკუთრებას. იგი გადაიშლება მის წინაშე, როგორც კი აიხდება ფარდა - სიკვდილის, დროისა და ხრწნის მეფეება. სივრცე აღარ იქნება დამბრკოლებელი ადამიანის სხეულისთვის, ისევე, როგორც ახლა არ წარმოადგენს დაბრკოლებას მისი აზრისთვის. ადამიანი იხილავს კოსმოსს, როგორც განძს, რომელიც მამამ დაუმალა შვილს და მხოლოდ სრულწლოვანების ასაკში მისცა.

საყოველთაო აღდგომის დროს ერთმანეთს შეხვდებიან ახლობლები, ვინც ამქვეყნად სიყვარულით იყვნენ დაკავშირებული, იმედი განხორციელდება, რწმენა იქცევა ღმრთის ჭვრეტად, სიყვარული კი დარჩება მარად. აღარ იქნება განშორება და სიკვდილი, დროც კი გაქრება.

ცათა სასუფეველი ღმრთაებრივი ნათლის მეუფებაა. მარადიული სიცოცხლე არის მარადიული მიახლოება ღმრთთან. ადამიანი თავისი ბუნებით ადამიანად დარჩება, თავის

პიროვნულობასა და ინდივიდუალობას არ დაკარგავდა, იმავდროულად, ღმრთის მსგავსი გახდება.

ათანასე დიდის სიტყვით, „მადლიერი ღმერთი“ იქნება. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: „ცეცხლში ჩაგდებული მახვილი ცეცხლის თვისებებს იძენს - არამარტო ჭრის, არამედ წვავს კიდევ“. მარადისობაში მუდამ ახალია ყველაფერი, იცვლება ადამიანი - ქრისტე მაცხოვარს ემსგავსება, სულიწმინდის მოქმედებით იცვლება სამყარო. პეტრე მოციქული წერს ქრიატიანთა მიმართ: „მთიები აღმობრწყინდეს გულთა შინა თქვენთა“. როგორც ამობრწყინდება ცისკრის ვარსკვლავი ადამიანის გულში, ეს საიდუმლოა და მხოლოდ მარადისობაში შეეციკობთ.

აღდგომის დღეებში ჩვენ ერთმანეთს მივმართავთ -

„ქრისტე აღსდგა!“

ამ სიტყვებში ჩადებულია ჩვენი რწმენის ნათელი, ჩვენი სასოების სიხარული, ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე. და ამ სიტყვების პასუხად ეკლესია ღაღადებს: „ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!“

დეკანოზი

ზოსიმა (კაცაძე)

## სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სავსე ჯავახეთის რეგიონში

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და გარემო პირობების გათვალისწინებით, ყოველთვის აგრარული სახელმწიფო იყო. სოფლის მეურნეობის სწორ განვითარებაზე დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. დღეს მსოფლიოს წინაშე განსაკუთრებით პრობლემურია მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფა.

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თავისი პოტენციულით - ეს იქნება მეცხოველეობის, მარცვლეული კულტურებისა თუ მეხიეობის განვითარებაში. სამწუხაროდ უკანასკნელ ათწლეულებში როგორც ყველგან, აქაც დაეცა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი და საჭირო გახდა ახალი გზებისა და მიმართულებების ძებნა. ამ საქმეში კი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებას ითხოვს ეს სფერო. იყო დრო, როდესაც რეგიონი



კვებავდა არა მარტო თავის მოსახლეობას, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია სხვა ქვეყნებშიც გადიოდა. მესხეთის პურის ბეღელი კი ძნელბედობის ფამს აცოცხლებდა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ამიტომაც არის, რომ ბოლო ხანს

მხარისადმი ინტერესი სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით ირთიორად გაიზარდა.

ამ დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი რეგიონის საინ-

ფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა.


შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი შალვა კერესელიძე და ამავე დეპარტამენტის თანამშრომელი გიორგი მღებრიშვილი.

აღნიშნულ შეხვედრაზე რეგიონული სამმართველოს უფროსმა ნანა ზუბაშვილმა წლების მიხედვით, დარგობრივ ჭრილში, წარდგინება მოახდინა რეგიონში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მიერ განუვლი მუშაობის შესახებ, ხოლო მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრეს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების უფროსებმა.

შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის დარგში არსებული გამოწვევებისა და გადაჭრის გზების შესახებ ისაუბრა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა.

ტარიელ ხინალაშვილი


## დანისუზნები



ჯაბა ბახანიძე

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის განწყვეტილებით სამართლებრივი ფორმა შეიცვალა ა(ა)იპ „შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო მუზეუმი“ და ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა“ და მათი გაერთიანების შედეგად 2018 წლის 1 თებერვლიდან ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრი“ და მის დირექტორად დაინიშნა ჯაბა ასპანიძე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის განწყვეტილებით დარეგისტრირდა და 2018 წლის 1 თებერვლიდან ფუნქციონირება დაიწყო ა(ა)იპ „სასპორტო გაერთიანებამ“, რომლის დირექტორად დაინიშნა ლევან მაზმიშვილი.



ლევან მაზმიშვილი



სპორტი

# ლართა სუც ასთი გაჟარჯვაზით გაბარით!

2018 წლის 17 მარტს, ახალციხის №5 საჯარო სკოლაში, ფრენბურთში, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა – 2018“-ის რეგიონული თამაშები გაიმართა. ერთმანეთს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული გუნდები დაუპირისპირდნენ.



ასპინძის მუნიციპალიტეტიდან შეჯიბრებაზე მონაწილეობას იღებდნენ სოფელი ნაქალაქევის საჯარო სკოლის ვაჟთა ფრენბურთელთა გუნდი (სპორტის მასწავლებელი თემურ ბერიძე) და სოფელი ჭობარეთის საჯარო სკოლის გოგონების ფრენბურთელთა გუნდი (სპორტის მასწავლებელი მედგარ ჯვარიძე).

გოგონათა გუნდმაც, რომელმაც ჯერ დაამარცხეს ახალციხის გუნდი, ხოლო ფინალში სძლია ადიგენის გუნდი და პირველი საპატიო ადგილი გაინაღდა. გამარჯვებული გუნდები ახალციხის მუნიციპალიტეტი მერიამ სიგელებით დააჯილდოვა.

რეგიონულ თამაშებში გამარჯვებული სოფელ ნაქალაქევის ვაჟთა და ჭობარეთის გოგონათა ფრენბურთელთა გუნდები ქ. თბილისში, ამა წლის მაის-ივნისში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელით მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთის ზონის ზონალურ თამაშებში.

ვულოვავთ ამ დიდ გამარჯვებას ორივე გუნდს და ვუსურვებთ განსაკუთრებულ წარმატებებს რესპუბლიკის ზონალურ თამაშებში.

ორივე გუნდმა წარმატებით იასპარეზა, კერძოდ, ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ბორჯომისა და ადიგენის გუნდები, ხოლო ფინალში, დაძაბულ ბრძოლაში სძლია ახალქალაქის გუნდს და პირველი ადგილი დაისაკუთრა; ასევე წარმატებით იასპარეზა

## წახმაკებით იასპახეზეს

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ მე-4 წელია ტარდება. „ოლიმპიადა 2018“-ში 1700-ზე მეტი სკოლის 100 000-მდე მოსწავლე იღებს მონაწილეობას.

ახლახან ქ. ახალციხის №5 საჯარო სკოლაში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“-ის რეგიონული თამაშები. ერთმანეთს რეგიონის მუნიციპალიტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ. ასპინძის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობას იღებდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“-ის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული ივერიის საჯარო სკოლის ვაჟთა და ხერთვისის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდები.

სოფელ ხერთვისის საჯარო სკოლის მაგიდის ჩოგბურთელ გოგონათა გუნდმა (მასწავლებელი თემური ლონდარიძე), ტურნირში წარმატებით განვლეს ორი ტური და დაამარცხეს ბორჯომისა და ნინოწმინდის გუნდები, თუმცა ფინალურ შეხვედრაში დაამარცხდნენ ადიგენის გუნდთან და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ასევე ფინალამდე მიადგინა და მეორე ადგილი დაიკავა სოფელ ივერიის საჯარო სკოლის მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა გუნდმა (მასწავლებელი გიორგი აბაშიძე), რომლებმაც დაამარცხეს ნინოწმინდისა და ახალციხის საჯარო სკოლების გუნდები, ხოლო ფინალში დაამარცხდნენ ახალქალაქის საჯარო სკოლის გუნდთან.

ვაჟთა ქაპიტანები

წერილები

## მარჯვენა დაგელოცოთ

ალბათ, თითოეულ ჩვენთაგანს კარგად გვახსოვს ის მძიმე დრო, როდესაც ავადმყოფის საავადმყოფოში მკურნალობა რა დიდ პრობლემას უქმნიდა არა მარტო ავადმყოფ ადამიანს, მის მთელ ოჯახს, არამედ, საახლობლოსაც კი, – უფულობისა და უნაშრომის გამო ხშირად ბენჯზე ეკიდა ადამიანის სიცოცხლე.

ლელობის ფარგლებში, ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე დგას. მე ამას ისიც მათქმევინებს, რომ, აი, უკვე, შეიძლება, ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ და სისტემატურად ვიმყოფები მეთვალყურეობის ქვეშ, სახელმწიფოს მხრიდან დახმარება და ყურადღება კი არ მაკლია.

ვენჯე მთელი სამედიცინო პერსონალის მიმართ, რომლებმაც ყველა ღონე იხმარეს ჩემი გამოჯანმრთელებისა და ფეხზე დაყენებისათვის. თუმცა განსაკუთრებული პატივისცემა მაინც მინდა გამოვხატო იმ სამედიცინო პერსონალის მიმართ, რომლებმაც ამ დღეებში, ავადმყოფების მიმართ, დამანახეს ის დიდი ადამიანური დამოკიდებულება, რომელთა ძალისხმევით დავრდომილ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა განკურნებისა და იმის რწმენა, რომ ჩვენ ჯანმრთელობას სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველი ხელი არ აკლია.

საშუალებით, მადლობას ვუხდით ჩემს მკურნალ ექიმს მაია ლეკიშვილს, მედადს – ეთერი ელიზბარაშვილს, საავადმყოფოს მენეჯერს ქალბატონ მანანა ცინაძეს იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც მე ვიგრძენი მათი მხრიდან.

დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და ახლა, ალბათ, შეიძლება ითქვას, დაზღვეულები იმით მაინც ვართ, რომ გაჭირვების უამს, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას არავინ დაგვამადლის და სახელმწიფო, შესაძ-

აქლახან, ამ ავადმყოფობას ისიც დაემატა, რომ ფილტვების მწვავე ანთება დამემართა და საჭირო გახდა ჩემი ჰოსპიტალიზაცია ასპინძის რაიონულ საავადმყოფოში. სადაც ხუთი დღე დავყავი.

სტაციონარზე ყოფნის დროს, კიდევ უფრო დიდი პატივისცემით გან-

მარჯვენა დაგელოცოთ და ყოველთვის ასეთი შემართება გამოგეჩინოთ თქვენი თითოეული პაციენტის მიმართ ჩემო ძვირფასებო.

ულრმესი პატივისცემით და მადლიერებით,

დარიჟან ივანიძე, პენსიონერი დ. ასპინძა

### ფოლკლორი

\*\*\*  
ემგენამ თქვა, ჩემი საქმე  
ჭანტრაკულად წვეიდაო,  
კოტიას გოგო მერიგა,  
მიზალის მივეიდაო.

ელენტიამ რომ გეიგო  
ჩხარში მალე ჩვეიდაო,  
საჩივარი შეიტანა,  
არაფერი გევიდაო.

მიხაკო გამეეკიდა,  
სახლში მალე მევიდაო.  
ეს რომ კოტიამ გეიგო,  
სახლში მალე შევიდაო.

საძმარეებს დეერია  
კარში გაცვივდნენ ქალები,  
ვისაც მოხვდა მისი შხეფი  
ყველას დაუფსო თვალები.

ნიკიფორემ დეიძახა  
მიხალ, გააღე კარები.  
სიძე კარგი მოგიყვანე  
გოგბერაშვილი პარმენი,

უცბად მიზილო ნამოხტა,  
შეაყვრილა თვალები,  
ვერ გაგატან ზენობიას

გადამერევა ქალები.

საზანოში გეიყვანეს,  
უცბად დარეკეს ზარები,  
მაინძელს შეატყობინეს,  
მაყრად მოყვება მამები.

\*\*\*  
ბესიას ძალი მოუკლეს,  
ჭრელი იყო, ნაბლისფერი,  
დიანოზას ტყეში ნახა,  
შემოიკრა თავში ხელი.  
მომწამლავი ვერ მიაგნო,  
მიყარა მისი ნეხვი.

\*\*\*  
ეს ბესია ბუცხრიკიძე  
გადავარდა ბოგირზეო,  
ბალინცაში მიიყვანეს,  
დააწვინეს ლოგინზეო.  
აბანოში შეიყვანეს,  
ზურგზე წოუსვეს საპონი,  
ბესია იმას ფიქრობდა,  
ვინ არის ჩემი პატრონი.  
იპოლიტეს ეუბნება:  
ჩუმად გარეკე ხარები,  
სახლში ისე მიიყვანე  
არ გადარიო ქალები.

\*\*\*  
ნესტორას ძალი მოუკვდა,  
სახელად ერქვა კუსია,  
დილას ნესტორა წამოდგა  
ხელი შეავლო კუდშია,  
სასიკვდილოდ არ მინდოდი  
შენ გენაცვალე სულშია,  
ასაბია დავპატიჟოთ,  
ღვინო თუ არის ჭურშია.

\*\*\*  
გოგსაქემ თქვა, ვიპარსები,  
აღარ მინდა ჩემი მღვდლობა,  
მკვდარსა და ცოცხალს ვიძულებ,  
მივატოვე ანაფორა,  
ამ ყველაფერთან ერთად  
მღვდელმა იცოდა თრობა-თამაში,  
და სიმთვრალეში ნინიას,  
გადაუგორდა საბანში.  
ნუ იპარსები ხუცესო,  
საქმე რად ქენი უნესო,  
ახლა რა დროს უარია,  
შეხედე მაგის მუცელსო.

მთქმელი ბესია  
ბუცხრიკიძე, ჩაინერა  
ნაზი ტიპაძე დედისაგან,  
89 წლის თამარ ტიპაძე-  
ბუცხრიკიძისაგან.  
2012 წელს სოფელ ოშორაში

### ქალბატონის პარკი სა-მეცანაოების მასხვად აღიწყო



დადგა გაზაფხული. გამოიღვიძა ბუნებამ და ადამიანებმა ბევრი საზრუნავი გაუჩნდათ. ეს არამარტო კერძო საკუთრებაში არსებულ ბაღ-ვენახებისა და ბაღ-ჩეულობის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება, არამედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბაღებისა და სკვერების მოვლაშიც.

დაბის ცენტრში რამდენიმე ადგილზეა გაშენებული სკვერები, მათ შორის უფრო მეტ მოვლასა და პატრონობას საჭიროებს ცენტრში არსებული კულტურისა და დასვენების ორივე პარკი.

და, აი, ამ დღეებში კეთილმოწყობის სამსახურმა უკვე დაიწყო ხეების გასხვლა ზედმეტი და ხმელი ტოტებისაგან. აღნიშნული სამუშაო პროცესების ჩატარება ახლა აუცილებელიც იყო, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ პარკებში რამდენიმე ადგილზე შეიმჩნევა დაავადებული და დაზიანებული ხეები და აუცილებელია მათი მოჭრა, რათა დაავადება სხვა ხეებსაც არ გადაედოთ. ასევე კარგი იქნება თუ ცარიელ ადგილებზე დაირგვება ახალი ნერგები და განახლდება აღნიშნული პარკები.

რედკოლეგია

საკ. ინფორმაცია